ბრძანება:**ბ47. 4726078001**
თარიღი:**19/03/2026**

ბრძანება N21

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 26 მარტს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი

1.2. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი

1.3. ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ანგარიში 2025 წელში გაწეული საქმიანობის შესახებ.

მომხსენებელი: თამარ კეკელიძე

ა(ა)იპ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დირექტორი

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის შესახებ.

მომხსენებელი: მარიტა მგალობლიშვილი

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი